BMW Club Georgia

BMW Club Georgia

23.07.17

/დამტკიცებულია ბმვ კლუბ
საქართველოს პრეზიდენტის მიერ/

ს. ბაღათურია

შ ე ჯ ი ბ რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დრაგის ჩემპიონატის

II ეტაპი

რუსთავის ავტოდრომი

23.07.17

1. შეჯიბრის პროგრამა

23.07.17

1. მონაწილეთა რეგისტრაცია (რუსთავის ავტოდრომი)	09:00 – 10:00
2. ტექ.დათვალიერება (რუსთავის ავტოდრომი)	10:00 – 10:30
3. კვალიფიკაცია	10:30 – 11:30
4. ბრიფინგი (რუსთავის ავტოდრომი)	11:30
5. ღონისძიების გახსნა (რუსთავის ავტოდრომი)	12:00
6. სტარტი	12:30

7. კლასების თანმიმდევრობა

(შეიძლება შეიცვალოს ამინდის ან მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით):

C, Absolute, Pro Absolute, 4x4, Pro 4x4, Monster, Pro, B, A.

2. შეჯიბრის ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრის ორგანიზატორი:

BMW Club Georgia (BCG)	ბმვ კლუბ საქართველო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, სტანისლავსკის ქ., №5, ბინა 27
ელექტრონული ფოსტა:	bmwclub.ge@gmail.com

შეჯიბრის კოორდინატორი: თენგიზ ნანავა
მობ.: 595 95 44 95

ოფიციალური პირები:

შეჯიბრის დირექტორი:	გიორგი ტუღუში	574 714 741
მთავარი მსაჯი:	გიორგი ჯადუგიშვილი	597 203 371
უსაფრთხოების კომისარი:	ლუკა ხავთასი	599 036 598
შეჯიბრის მდივანი:	ლაშა ხავთასი	555 488 353

3. შეჯიბრის ტრასა

3.1. ერთ ჯერზე გასავლელი დისტანცია 402 (ოთხასორი) მეტრი
3.2. ღონისძიების ხანგძლივობა 7 საათი.

4. შეჯიბრის პირობები

4.1. შეჯიბრი ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და დრაგის წესების მოთხოვნებით.
4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრის დებულების შესაბამისად.
4.3. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუჩეროს მონაწილეს განაცხადი, თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს.
4.4. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს დებულების შესაბამის დროში. დაგვიანების შემთხვევაში განაცხადი არ მიიღება.

5. შეჯიბრის წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით.
5.2. ფინიში: ზოლის გადაკვეთით.
5.3. რბოლა: კენჭისყრით ხდება მრბოლელების დაწყვილება ისე, რომ (წინა შედეგებით) ძლიერი კონკურენტები თავიდანვე არ შეხვდნენ ერთმანეთს. რბოლა არის 2 ქულამდე. ჩემპიონატი არის ოლიმპიოური სისტემის ანუ გამარჯვებულები გადადიან 16, 8, 4 და ბოლოს ფინალი (სისტემით).
5.4. მონაწილეთა კენტი რაოდენობის შემთხვევაში, წყვილის გარეშე დარჩენილი მონაწილე, ავტომატურად გადადის შემდეგ ტურში.
5.5. ასპარეზობა იმართება 9 კლასში:
5.8.1. A კლასი;
5.8.2. B კლასი;

5.8.3. C კლასი;
5.8.4. Absolute კლასი;
5.8.5. კვადრო კლასი;
5.8.6. Pro კლასი;
5.8.7. Pro Absolute კლასი;
5.8.8. Pro კვადრო კლასი;
5.8.9. Monster კლასი

5.6. არასწორად გავლილი დისტანცია ითვლება არ შესრულებად და მონაწილეს ეთვლება წაგებაში.

6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრზე დაიშვებიან პირები, რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა ან სსსფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია.

6.2. მონაწილე ვალდებულია სარეგისტრაციო ფორმის შევსების დროს ჩაწეროს ინფორმაცია სრულად.

6.3. შეჯიბრში მონაწილეობა ფასიანია:
100 (ასი) ლარი

6.4. შეჯიბრი ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უცხოელ მრბოლელებს.

6.5. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვე პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.6. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6.7. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ნებისმიერი მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში – მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

7. მონაწილე ავტომობილები

7.1. სამოყვარულო კლასში აკრძალულია:

► ძრავი, რომელითაც სერიულად არ გამოდიოდა აღნიშნული კუზაო

► დამსუბუქება: სალონის დაშლა, ბამპერების ან „ვიხლოპის“ მოხსნა და ჩამოსხმული დეტალების მიყენება.

► სლიკების, ნახევრადსლიკების და Competition საბურავების დაყენება.

► არასერიული ავტომობილების გამოსვლა

► A კლასში აკრძალულია ტურბინიანი ავტომობილებით გამოსვლა (ავტომატურად B)

► სპორტული სავარძლები შეიძლება თუ იქნება ორივე ერთნაირი და კარგ მდგომარეობაში! (ანუ სპეციალურად ჩაგდებულის შესახედაობის არ უნდა იყოს!)

► კარბონის ან ფიბერის კაპოტი და საბარგული შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის იგივე ვიზუალის რაც ორიგინალი და არა ცოცხით შეღებილის ვიზუალზე!

► კომპრესორიანი Mercedes (3.2 და 5.5) თუ უყენია სპორტული გამშვები – ხვდება 1-ით ზედა კლასში.

► სამოყვარულო კლასებში დაშვებულია ტურბინის შეცვლა მხოლოდ, იგივე მწარმოებლის ქარხნული (მსუბუქ) მანქანების ტურბოთი. "aftermarket", მძიმე ტექნიკის ან ძალიან დიდი ტურბინით შეცვლისას – ავტომობილები ხვდებიან PRO კლასში.

7.2. PRO კლასში თუ ავტომობილი დადუგულია – გარდა სტანდარტული უსაფრთხოების მოთხოვნებისა – ვალდებულია იქონიოს ცეცხლმაქრი!

► შუშების ამოღებისას უნდა დაყენდეს პლასტიკატები.

► თუ მოჭრილია ძარის დეტალები, კარები და ა.შ. – ავტომობილი უნდა იყოს უსაფრთხოების კარკასით.

7.3. აკრძალულია სარბოლო ტერიტორიაზე წებოვანი ნივთიერებების დასხმა.

7.4.ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა.

7.5. სასტარტო ნომერი უნდა განთავსდეს მგზავრის სავარძლის წინ შუშაზე.

www.facebook.com/BMW.Georgia

8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება სპორტსმენისაგან ან წარმომადგენლისაგან შესაძლებელია შედეგების გამოცხადებიდან მანამდე სანამ წყვილში არსებული მრბოლელებიდან რომელიმეს არ მოუწევს დუელი ან არ მოვა შემდეგი ეტაპის დრო. პროტესტის წარდგენისას სპორტსმენის და წარმომადგენლის მიღმა ნებისმიერი ადამიანის მიყოლისას ან მრბოლელის და მისი გულშემატკივრის მხრიდან არასპორტული ფორმით პროტესტის გამოხატვისას – ორგანიზატორებს უფლება აქვთ მრბოლელისთვის ღონისძიებებზე დისკვალიფიკაციის მიცემის.

8.2. პროტესტის დროს აუცილებელია წარმოადგენილი იყოს ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალა.

9. შენიშვნები და განმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრი ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

10. დაჯილდოება.

ყველა კლასში:

I ადგილი – დიპლომი, მედალი, თასი

II ადგილი – დიპლომი, მედალი

III ადგილი – დიპლომი, მედალი

www.facebook.com/BMW.Georgia